

07.00.00 ისტორიული მეცნიერებები HISTORICAL SCIENCES

0. ჩავალება საქართველოს ისტორიის უძველესი აღრიცხვის შესახებ

დაუთ მაღაზონია

თერგდალეულები, ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრები, სისხლხორციელად იყვნენ დაინტერესებული ქართველი ხალხის ნამდვილი, მეცნიერული ისტორიის შედეგნით. ამ დიდ ინტერესს, გარდა ისტორიის კულტურულ-შემცირებითი მნიშვნელობისა, ეროვნულ-განამათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანები და ერის წარსულის გამყალბებელთათვის საჭარისი პასუხის გაცემის საჭიროებაც განაპირობებდა.

ილიამ უდიდესი ამავი დასხორ მთელ ქართულ კულტურის, სწორი და პროგრესული პოზიცია ექვავა მას საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას, არაერთი მისი მოსაზრება, არა მარტო იმდროინდელი ისტორიოგრაფიის ფონზე იპყრობს უკრალდებას, არამედ დღემდე შეუვალ ჭეშმარიტებად რჩება.

აქ შევეხებით ილიას შეხედულებებს ქართველი ერის უძველეს, ისტორიამდელ ხანაზე, რომელიც ბუნებრივია, წყაროების ნაკლებობით ხსიათდება.

ისტორიამდელი წარსულის შესასწავლად ილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ენას, მის ღრმა საფუძვლიან ცოდნას, ქერძოდ – საარსებო გარემოს სპეციული განაპირობებულ სიტყვებსა და გამოთქმებს. იგი სწორად თვლილა, რომ ერის მეტყველებაში თავისებურად აისახება ქვეყნის წარსული, ხალხის თავისადასაყვალი. ილიას უკრალდებას იპყრობდა ქერძოდ ის, რომ ქართულ ენაში არა ერთი სიტყვაა წყალი ძირისაგან წარმოქმნელი (წყალობა, მოწყალება, შეწყალება, საწყალი, უმოწყალი და სხვ.), რომელთა აზრი საიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ჩვენს ენაში ამგვარი სიტყვების არსებობა აფერებინებდა ილიას, რომ ჩვენს შორეულ წინაპრებს უფრო სამხრეთით, ცხელ და უწყდო მხარეში უნდა ეცხოვოთ.

ილია არა მხოლოდ ენობრივ მასალაზე დაკვირვებით აქტებდა ასეთ დასკვნას, არამედ თანამედროვე ისტორიკოსების გამოკვლევებზე დაყრდნობითაც: „მას შემდეგ, რაც ლურსმულმა წერილებმა თავისი გული გადაგვიშალა..., ეჭვი აღარავისა აქვს, რომ ქართველთა უძველესი დედა-ბინა, სხვათა შორის, არმენიაც ყოფილა, ე. ენის ტბისა და არარატის მიდამი ადგილები არზრუმითურთ“ [6].

ამ საკითხს უცხოელი ისტორიკოსებიც ეხსბორნენ (რ.ვირხოვი, ე.შანტრე, ფლე-მორგანი და სხვ.). ისინიც მირითადად, ქართველი ტომების სამხრეთ ტერიტორიებიდან გამდომასახლების თვალსაზრისზე იდგნენ.

მიგრაციული პროცესის გარეულ გამოძახილს ხედავდნენ მკვლევარები მცელ თხზულებებში მოთხოვობილ ამბებიც – ლეონტი მომვერის „ქართლის ცხოვრებას“ და „მოქცევაი ქართლისაიში“. მაგალითად, ივ. ჯავახ-იშვილი „ქართლის ცხოვრებაზე“ საუბრისას, მიუთითებს: „ერთ-ერთი უმთავრესი ლირსება ამ ნაშრომისა არის ის, რომ აქ დაცულია ცნობა ქართველთა სამხრეთიდან მოსელისა“ [7].

XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსებიც (საბარასაშვილი, დაბაქრაძე და სხვ.) უყოფანოდ იზიარებდნენ ამ აზრს. მაგ., დაბაქრაძე ქართველ ტომთა პირველსაცხოვრისად თვლიდა ზემო აზრს [2].

როგორც ვხედავთ, ილიას თანამედროვე ისტორიოგრაფია, ძირითადად ქართველი ხალხის სამხრეთიდან გადმოსახლების იდეას ავთარებდა, რასაც მაშინდელ მეცნიერულ ცოდნასთან ერთად არქოლოგიური მასალის სიმწირეც განაპირობებდა, საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძის ვარაუდი ქართველების „არმენიიდან“ გადმოსახლების შესახებ უფრო ახლოს დგას სიმართლესთან, კიდრე იმუამინდელი ისტორიოგრაფიული აზრი, რომელიც ხშირად ქართველების უძველესი განასახლების ქრისტიანულ უფრო უძველესი უკრალდებად დევრად უფრო შორეულ ადგილებსაც მიიჩნევდა. (1. მაგ., რ.ვირხოვი თვლილა, რომ ძვ. წელთაღრიცხვით XI-X საუკუნეებში კავკასიაში ბრინჯაოდან რკინის კულტურაზე გარდამვალი ეტაპი უკრალ წარმოშვა შეა აზიდნა შემოჭრილმა ტომებმა. ე.შანტრეს აზრით, კავკასიაში მესოპოტამიდიდან უნდა მომზდარიყო ტომთა დიდი ნაკადის შემოჭრა, ხოლო კარტენი ქართველ მოსახლეობას ინდოერობულ წარმოშობას უძღნიდა, და ა.შ.) ილიას ვარაუდის მეტ სიზუსტეზე რომ ვლაბარაკობთ, ზედმეტი არ არის აღინიშნოს, რომ თითქმის ასევე ფიქრობდა უდიდესი ქართველი ისტორიკოსი, იყ. ჯავახიშვილიც.

XIX საუკუნის ისტორიოგრაფიული აზროვნების მეცნიერულად ათვისების საფუძველზე თვლიდა ი.ჭავჭავაძე ურარტულებს ქართველთა მონათესავე (ქართველურ ან წინაპრემართველურ) ტომებად. იქ სომები მოსახლეობის დამკვიდრებას კი ურარტუს სახელმწიფოს დაცემას უკავშირდება: „პაიკები, პასიანები (სომხები) VI საუკუნეს ქრისტეს წინა შემოიღინენ ურარტუს...“ [5].

ასევე, გასული საუკუნის ცნობილ ისტორიკოსთა – მასპეროს, ლეინორმანისა და სხვათა შრომებში გატარებულია აზრი ქართველი და ურარტულ ხალხების ხეოურ-მცირებზე სამყაროსთან ეთნიკური კავშირის შესახებ.

ურარტულების ქართულ სამყაროსთან კავშირის თვალსაზრისი ჩვენს ისტორიოგრაფიაში XX საუკუნეშიც იყ გავრცელებული. აკად. ს. ჯანაშია ურარტუს მოსახლეობას ეთნიკურად ქართველურ-ჟანურ ტომებს უკავშირებდა [9], ხოლო გმელიქიშვილს სახელწოდება „ხალდი“ – „ქართუს“ დიალექტურ ვარიანტად აქვს წარმოდგენილი [3].

ბოლო ეტაპზე ჩამოყალიბებული თვალსაზრისი კი უარყოფს მათი ეთნიკური ივევეობის დებულებას. „მოიხ-ნა, აგრეთვე, ქართულ სამყაროსთან ურარტულის პირდაპირი იდენტიფიცირების შესაძლებლობაც“ – მოუ-თითებს შ. ბადრიძე [10].

დღეს დამკვიდრებული განსხვავებული თვალსაზრისის მიუხდავად, შეიძლება ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძე,

მისი დროის მეცნიერული აზრის ფონზე, არსებითად სწორ პოზიციაზე იდგა.

იღვანის არც დასასელურ-ქართული ტომის, კოლხების წარმომავლობის საკითხი დაუტოვებია უფრო დაღვიწებული ჰქონდებოდა:

ჰეროდოტეს ცნობას კოლხების ეგვიპტიდან გადმოსახლების შესახებ იყო ზღაპრულს უწოდებს.

არსებობდა საპირისპირო აზრიც: მაგ. ს. ბარათაშვილს არც კი ევჭვებოდა ძველ ბერძნულ წყაროში დაცული ცნობის ჭეშმარიტება და ადგილობრივ მოსახლეობაზე ეგვიპტელთა გავლენის შესახებაც თამამად მსჯელობდა: „მჩინ, მთვარის და ხუთის მოძრავ ვარსკვლავის თაფვანისცემა, ცხადია, ეგვიპტელებს გაუვრცელებიათ... შეხედეთ ვარძის გამოქვაბულებს სამცხეში და თმოგვმი: ეს გამოქვაბულები წუთუ იმგვარსაც აკლდამებს არ წარმოადგენს, როგორებითაც დაფარულია ნილის ნაპირები“ [1].

ბარათაშვილზე ცოტა უფრო ადრე ამ საკითხს თეომურაზ ბაგრატიონი შეეხ. მან მართალია უარყო კოლხ-ეგვიპტელთა უშუალო ნათესაობის კვრისა, მაგრამ კოლხეთში ეგვიპტელთა ლაშქრობა საესებით რგალურ ფაქტად მიაჩნდა.

ისტორიკოსების აბსოლუტური უმრავლესობა (მათ შორის დ. ბაქრაძე, მ. ბრისე და სხვანი), თავიდანვე უარყოფდა ეგვიპტელების ლაშქრობის შესაძლებლობას. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით კი „აქ ისეთსაც მოვლენასთან უნდა გვიჩნდეს საქმე, როგორმაც ვითომდა ხევსურთა ჯვაროსანთა შთამომავლობის თეორია წარმოშვა, რომელიც უცხოელმა მოხსაურებმა მოხვევებსა და ხევსურებსაც კი ჩაუნერგეს“ [8].

წინა აზრის მეცნიერ, უძველესი ციფილიზაციების შემქმნელ ხალხებთან მჭირდო ნათესაური კავშირის ძებნის მანიშნებელია ი. ჭავჭავაძისაგან ბიბლიური თუბალებისა და მოსოხების ქართველ ტომებად აღიარებაც [4]. ისებ ფლავიუსის შესაბამისი ცნობის ჭეშმარიტება დღეს დადასტურებულია მსოფლიო ისტორიოგრაფიაში.

იღვანის ჭავჭავაძეს მხედველობიდან არც ჩევნი პირვანდელი ყოფის ამსახველი გადმოცემები და წერილობითი წყაროები რჩება, რომელთა გაანალიზებისას ნათლად წარმოჩნდება მისი დრმა მეცნიერული ერუდიცა.

იღვანის მიაჩნდა, რომ თავდაპირველად ჩევნის წინაპრებში ციურ სხეულთა თაყვანისცემა – საბაზმი უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ეხება რა ადამიანთა წარმოადგენებს საიქოზე, იღვანი თვლის, რომ ტრადიციად შემორჩენილი ჩევულებები – ქელები, ორმოცი, სულისათვის საკლავის დაკვლა და სხვა – უძველესი რწმენის სახეშეცვლილ რიტუალებს წარმოადგენს [6].

იღვანის მეცნიერული სიზუსტით აღწერს მსხვერპლშეწირვის გავრცელებულ რიტუალს – შესაწირი საკვებისა და მსხვერპლის დაწვის ტრადიციის, და მასებ უკავშირებს სამთავროს (მცხოვა) საფლავების გათხრისას აღმოჩნდილ დამწვარ, უწესრიგოდ მიზრილ ძვლებს (რასაც ზოგიერთი მკვლევარი მცდარ ინტერპრეტაციას უკეთებდა და ქართველთა კანიბალიზმის მიმანიშვნებელ ფაქტად თვლიდა).

ასევე საინტერესოდ მსჯელობს იღვანი ქართველ ტომებში კერპათაყანისმცემლობის გავრცელებულის შესახებ. ამ სარწმუნოებას მეაფილო ჩამოყალიბებული წესები ახასიათებს. იღვანი მათგან მსხვერპლშეწირვის, ქურუმთა მოქმედებისა და ცხოვრების, სახელმწიფოსა და რელიგიის დამოკიდებულებას გამოჰყოფს.

საქართველოში არსებობდა კარგად ორგანიზებული აღილები, სადაც კერპათმსახურებას ასრულებდნენ. საკერპათ ტაძრების არსებობა უკეთ თავისთვავდ მეტყველებს დათისმსახურების რიტუალური წესების ფართოდ გავრცელებაზე: „რაკი ტაძარია, იქ ლოცვაც არის და მსხვერპლის შეწირვაც, რაკი ლოცვა და შეწირვა – იქ მღვდელმსახურებაც არის“, – წერდა იღვანი [6].

იღვანის დროს ქართული წანთეონის შესახებ თითქმის არ არსებობდა წერილობითი ან არქეოლოგიური მასალა, თეოთ შეკირისიტყვიერებაც და ხალხის ადათ-ჩევულებანი სათანადოდ არ იყო შესწავლილი: „არავითარი საბუთი ჯერ არ აღმოჩნდილა, რომ შესაძლო ყოფილიყო, გამოგვეცნო – თითოეული ღმერთი ამ პანთეონისა რის მომასწავლებელი არიან და რა აზრს, იღვანი უწინდელის ქართველისას წარმოადგენება“ [6]. ასეთ პირობებშიაც იღვანი შეძლო, საკმაოდ დაწვრილებით გამოიკვლა წინარე ქრისტიანული რელიგიური წარმოადგენები და მათთან დაკავშირებული წეს-ჩევულებანი.

იღვანის ჭავჭავაძემ, დიდმა მწერალმა და მრავალმხივმა საზოგადო მოღვაწემ, ქართულ ისტორიოგრაფიაშიც წარუმდელი კვალი დატოვა.

## ლიტერატურა:

1. ს. ბარათაშვილი – საქართველოს ისტორია, რევული I, 1895;
2. დ. ბაქრაძე – ისტორია საქართველოსი, 1889;
3. გ. მელიქიშვილი – ქართველი ხალხის წარმოშობა, 1953;
4. ი. ჭავჭავაძე – თხზულებანი, ტომი II, 1977;
5. ი. ჭავჭავაძე – თხზულებათა სრული კრებული, ტომი VIII, 1957;
6. ი. ჭავჭავაძე – ნაწერების სრული კრებული, ტომი V, 1927;
7. ი. ვაკევაზიშვილი – ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945;
8. ი. ვაკევაზიშვილი – საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950;
9. ს. ჯანაშვალი – შრომები, ტომი V, 1985;
10. „ცისქარი“, 1987, №10;
11. ლენორმა ფ. Руководство к древней истории востока до персидских войн, вып. 1, Киев, 1876
12. მასპერი გ. Древняя история народов востока, М., 1895.